

სააქციო საზოგადოება

„ბ ა ზ ი ს ბ ა ნ კ ი“

ფინანსური ანგარიშგება

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
შემოსავლის უწყისი
საბალანსო უწყისი
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ
ანგარიშგება აქციონერთა კაპიტალში ცვლილების შესახებ
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით



Tbilisi Branch of KPMG CIS Limited
6 Khetagurov str.
Tbilisi, 0102
Georgia

Tel. +995 (32) 935 713
Fax +995 (32) 982 276
Internet: www.kpmg.com

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკი“ - ს სამეთვალყურეო საბჭოს

ანგარიში საფინანსო უწყისების შესახებ

ჩვენ მოვახდინეთ სს „ბაზისბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) შემდეგი ფინანსური უწყისების აუდიტორული შემოწმება: საბალანსო უწყისი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლის უწყისი, უწყისი აქციონერთა კაპიტალში ცვლილების შესახებ, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა და სხვა განმარტებითი შენიშვნები.

მმართველი რგოლის პასუხისმგებლობა ფინანსურ უწყისებზე

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ თანახმად, მმართველი რგოლი ვალდებულია, მოამზადოს და სამართლიანად წარადგინოს საფინანსო უწყისები. მმართველი რგოლის პასუხისმგებლობაში შედის: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავება და მისი განუხრელი განხორციელება, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის ისე, რომ უწყისები არ მოიცავდეს ნებით ან უნებლიედ დაშვებულ არსებით უზუსტობებს; სათანადო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება, აგრეთვე, გარემოებათა შესაფერისი ბუღალტრული შეფასებების გაკეთება.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, წარმოვადგინოთ დასკვნა ფინანსური უწყისების შესახებ. აუდიტს ვაწარმოებდით „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, ეთიკური მოთხოვნების დაცვით, აუდიტის დაგეგმვასა და განხორციელებას ფინანსური უწყისების სიზუსტის შესამოწმებლად.

აუდიტური შემოწმების დროს სრულდება პროცედურები აუდიტორული მონაცემების მოსაპოვებლად ფინანსურ უწყისებში დაფიქსირებულ თანხებსა და ახსნა-განმარტებებთან დაკავშირებით. პროცედურებს არჩევს აუდიტორი (მათ შორის, ფინანსურ უწყისებში ნებითი თუ უნებლიე უზუსტობების არსებობის რისკის შეფასება). რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს ფინანსური უწყისების მომზადებისა და სამართლიანი პრეზენტაციისათვის აუცილებელი შიდა კონტროლის სისტემას, რათა დაგეგმოს სხვა აუდიტორული პროცედურები, რომლებიც ყველაზე მეტად ესადაგება არსებულ გარემოებებს და არა იმისათვის, რომ გამოხატოს თავისი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ. აუდიტორული შემოწმების დროს ფასდება გამოყენებული ბუღალტრული პრინციპების შესაბამისობა და მმართველი რგოლის მიერ მომზადებული ბუღალტრული შეფასებების რაციონალურობა, აგრეთვე, ფასდება ფინანსური უწყისების პრეზენტაციის ზოგადი ხარისხი.

ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი ოდენობის სათანადო აუდიტორული მონაცემები, რაც ქმნის საფუძველს აუდიტორული დასკვნის მომზადებისათვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური უწყისები სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ ეფექტიანობას და ფულად ნაკადებს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად.

KPMG CIS Limited თბილისის ფილიალი

2008 წლის 14 მაისი

*ს/ს ბაზისბანკი
მოგება-ზარალის ანგარიშგება
2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

შენიშვნა	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი	4 12,277	10,389
საპროცენტო ხარჯი	4 (5,414)	(3,887)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	6,863	6,502
საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით	5 3,864	3,110
საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	6 (1,205)	(710)
წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით	2,659	2,400
წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	7 1,819	1,632
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)	8 121	614
	1,940	2,246
გაუფასურება (ზარალი) / ამოღებული თანხები	9 (4,658)	127
ძირითადი ადმინისტრაციული ხარჯი	10 (9,169)	(6,628)
დაუბეგრავი (ზარალი) / მოგება	(2,365)	4,647
საშემოსავლო საგადასახადო სარგებელი / (ხარჯი)	11 411	(883)
წმინდა (ზარალი) / შემოსავალი	(1,954)	3,764

4-45 გვერდებზე მოცემული ფინანსური უწყისები დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2008 წლის 14 მაისს.

ბ-ნი ზურაბ ციხისთავი
გენერალური დირექტორი

ქ-ნი ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი

ს/ს ბაზისბანკი
საპალანსო ანგარიშგება
2008 წლის 31 დეკემბრისათვის

შენიშვნა	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
აქტივები		
ფული	9,052	7,126
საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღები თანხები	12 4,511	17,260
დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებსა და საფინანსო ორგანიზაციებში	13 13,242	5,918
სესხები	14 63,531	62,476
გასაყიდი აქტივები	15 54	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		
- ბანკის მიერ შექმნილი ვადიანი ფასიანი ქაღალდები	16 122	-
- ბანკის მიერ გამოსყიდვის კონტრაქტებზე დაჯავშნული ფასიანი ქაღალდები	16 2,954	-
ძირითადი საშუალებები	17 12,833	8,986
არამატერიალური აქტივები	162	76
სხვა აქტივები	18 4,847	1,134
მთლიანი აქტივები	111,308	102,976
ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი		
დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან	19 22,553	14,251
გამოსყიდვის კონტრაქტებზე გადასახდელი თანხები	20 2,801	-
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	21 62,045	69,635
სხვა ვალდებულებები	22 1,487	902
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	23 369	680
მთლიანი ვალდებულებები	89,255	85,468
აქციონერთა ვალდებულებები		
სააქციო კაპიტალი	24 5,912	5,025
აქციათა ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები	24 5,612	-
შენიშვნის გადაფასების რეზერვი	2,188	2,489
გაუნაწილებელი მოგება	8,341	9,994
მთლიანი აქციონერთა კაპიტალი	22,053	17,508
მთლიანი ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი	111,308	102,976
ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	27-29	

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

*ს/ს ბაზისბანკი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2008 წლის 31 დეკემბრისათვის*

შენიშვნა	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	15,691	13,559
ფულადი სახსრები, მიღებული პროცენტებიდან, მოსაკრებლებიდან და საკომისიოებიდან	(6,457)	(4,694)
ფულადი სახსრები, გადახდილი პროცენტებზე, მოსაკრებლებზე და საკომისიოებზე	1,708	1,667
წმინდა ფულადი სახსრები, მიღებული უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	221	719
სხვა შემოსავალი	(8,184)	(5,818)
ძირითადი ადმინისტრაციული დანახარჯები		
საოპერაციო აქტივების ზრდა/(კლება)	3,060	1,085
მისაღებლები საქართველოს ეროვნული ბანკიდან	(323)	1,595
დაბანდებები ბანკებში	(5,349)	(14,949)
სესხები	(3,073)	53
გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივები, ფასიანი ინვესტიციები	(602)	(100)
სხვა აქტივები		
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება)	7,065	10,334
ვალდებულებები ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული დეპოზიტებსა და ნაშთებზე	2,801	-
ვალდებულებები მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე	(8,049)	8,875
სხვა ვალდებულებები	917	(141)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(574)	12,185
მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ	(598)	(612)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,172)	11,573
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,512)	(2,054)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(111)	(3)
ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ამონაგები	573	116
წინასწარ გადახდა ძირითადი საშუალებებისათვის	(888)	(697)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5,938)	(2,638)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სააქციო კაპიტალის ემისიით მიღებული ამონაგები	887	-
სააქციო პრემიის შედეგად მიღებული ამონაგები	5,612	-
გადახდილი დივიდენდები	-	(1,500)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	6,499	(1,500)
ფულისა და ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება	(611)	7,435
საკურსო ცვლილების გავლენა ფულსა და ფულად ექვივალენტზე	(229)	2,184
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის დასაწყისში	23,057	13,438
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის ბოლოს	22,217	23,057

31

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ს/ს ბაზისბანკი
 აქციონერულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2008 წლის 31 დეკემბრისათვის

	სააქციო კაპიტალი GEL'000	აქციათა ემისიით მიღებული დამატებით ი სახსრები GEL'000	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი GEL'000	გაუნაწილებე ლი მოგება GEL'000	სულ საკუთარი კაპიტალი GEL'000	
ბალანსი 2007 წლის 1 იანვრისთვის	5,025	-	2,347	7,730	15,102	
წმინდა შემოსავალი პერიოდისთვის	-	-	-	3,764	3,764	
გადავადებული გადასახადის კორექტირება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ცვლილების შედეგად, რომელიც თავდაპირველად გამოყენებული იყო ძირითადი საშუალებების გადასაფასებლად.	-	-	142	-	142	
მთლიანი აღიარებული შემოსავალი და ხარჯი					3,906	
გაცხადებული დივიდენდები	-	-	-	(1,500)	(1,500)	
ბალანსი 2007 წლის 31 დეკემბრისათვის	5,025	-	2,489	9,994	17,508	Deleted: 399
პერიოდის წმინდა ზარალი	-	-	-	(1,954)	(1,954)	Deleted: 399
გადაფასების რეზერვის რეალიზაცია ძირითადი საშუალებების გაყიდვით	-	-	(301)	301	-	Deleted: 399
მთლიანი აღიარებული შემოსავალი და დანახარჯები					(1,954)	
გამომწვეული აქციები	887	-	-	-	887	
გადახდილი პრემია	-	5,612	-	-	5,612	
ბალანსი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის	5,912	5,612	2,188	8,341	22,053	Deleted: 9,896 Deleted: 2 Deleted: 3,608

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 შესავალი

ძირითადი საქმიანობა

“ბაზისბანკი” წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1993 წელს საქართველოში. ბანკის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებელთა დეპოზიტებისა და მიმდინარე ანგარიშების მომსახურება, დაკრედიტება და გარანტიების გამოშვება, ნაღდ ფულთან დაკავშირებული და საანგარიშსწორებო ოპერაციები, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებითა და უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ბანკის საქმიანობა რეგულირდება საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. ბანკს გააჩნია 18 ფილიალი საქართველოს მასშტაბით.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0103, თბილისი, ქეთევან წამებულის #1. ბანკის ძირითადი აქტივები და ვალდებულებები განთავსებულია საქართველოში. ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში იყო 256 (2006 წელს - 200) ადამიანი.

აქციონერები

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის სააქციო კაპიტალი გადანაწილებული იყო აქციონერებზე:

აქციონერები	2008	2007
	საკუთრების წილი, %	საკუთრების წილი, %
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	15.00%	-
ზურაბ ციხისთავი	13.92%	16.36%
ელდარ მილდიანი	9.89%	11.62%
ზაზა ნიშნიანიძე	8.51%	10.00%
მურმან ამბროლაძე	6.58%	7.74%
არჩილ მაზიაშვილი	6.33%	7.44%
ქეთევან სოსელია	5.62%	6.60%
ტარას ნიჟარაძე	4.58%	5.38%
გია პეტრიაშვილი	4.57%	5.37%
ქეთევან სხირტლაძე	4.44%	5.22%
გოდერძი მელაძე	4.42%	5.19%
თენგიზ მაზიაშვილი	4.38%	5.15%
სხვა ფიზიკური პირები	11.76%	13.93%
	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>

დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები დეტალურად განმარტებულია 30-ე შენიშვნაში.

ქართული ბიზნეს-გარემო

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები ზემოქმედებს საწარმოთა საქმიანობაზე. ბოლო პერიოდში გაღრმავებულმა კონფლიქტმა საქართველოსა და რუსეთს შორის კიდევ უფრო გაზარდა გაურკვეველობის ხარისხი. ამდენად, საქართველოში ბიზნესი დაკავშირებულია რისკებთან, რაც არ ახასიათებს სხვა ბაზრებს. გარდა ამისა, კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრების საქმიანობის მასშტაბის შემცირების შედეგად, გაიზარდა გარემოს ეკონომიკური გაურკვეველობის ხარისხიც. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოგვიდგენს მმართველი რგოლის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს ბანკის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემო. მომავალი ბიზნეს-კლიმატი, შესაძლოა, განსხვავებული იყოს მმართველი რგოლის მოსაზრებისაგან.

2 მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის უწყისი

წინამდებარე ფინანსური უწყისები მომზადდა საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტების (სსას) შესაბამისად.

აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური უწყისები მომზადებულია ისტორიული ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე, გარდა გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივებისა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით და შენობებისა, რომლებიც აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით.

საოპერაციო და წარმომადგენლობითი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, საოპერაციო ვალუტად (ვალუტა, რომლითაც წარმოებს ოპერაციები) განსაზღვრულია ლარი, რამდენადაც იგი ასახავს ბანკში განვითარებული პროცესებისა და არსებული გარემოებების ეკონომიკურ არსს. გარდა ამისა, წინამდებარე ფინანსური უწყისების მიზნებისათვის წარმომადგენლობითი ვალუტაა ლარი (ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია ფინანსური უწყისები).

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასებში.

შეფასებები და მოსაზრებები

წინამდებარე ფინანსური უწყისების სსას-ის შესაბამისად მომზადების მიზნით, მენეჯმენტი სარგებლობს შეფასებებითა და დაშვებებით აქტივების, ვალდებულებების ანგარიშგების და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ახსნა-განმარტებების დროს. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

კერძოდ, ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და კრიტიკული მოსაზრებების შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკაში, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- სესხის გაუფასურების შეფასება – მე-14-ე შენიშვნა
- შენობის გადაფასების შეფასება – მე-17-ე შენიშვნა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისების მომზადებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი სახის სააღრიცხვო პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები მოცემულია ამ შენიშვნის ბოლოს.

ტრანზაქციები უცხოური ვალუტით

უცხოური ვალუტით წარმოებული ტრანზაქციების კონვერტაცია წარმოებს შესაბამისი საოპერაციო ვალუტით, გარიგების დღეს არსებული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც საბალანსო მაჩვენებლებში გამოხატულია უცხოური ვალუტით, კონვერტირდება საოპერაციო ვალუტაში გაცვლის კურსის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებულია ტრანზაქციის დღეს. არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოხატულია უცხოური ვალუტით და აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება საოპერაციო ვალუტაში გაცვლის კურსის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებულია ტრანზაქციის დღეს. კონვერტირების შედეგად წარმოქმნილი სხვაობა აღნიშნულია შემოსავლის უწყისში.

ნაღდი ფული და ექვივალენტი

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სხვა ბანკებში ნაღდი ფულსა და ნოსტრო ანგარიშებს ბანკი აღიარებს, როგორც ნაღდი ფულს და მის ექვივალენტს. საქართველოს ეროვნულ ბანკთან მინიმალური სარეზერვო დეპოზიტი არ არის აღიარებული ნაღდი ფულის ექვივალენტად, რამდენადაც მისი განაღდება შეზღუდულია.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც:

- || შეძენილი ან გაწეული უახლოეს მომავალში გაყიდვის ან ხელახალი შესყიდვის მიზნით;
- || წარმოადგენს იდენტიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომელიც იმართება ერთობლივად და არსებობს ბოლო პერიოდში მოკლევადიანი მოგების მიღების ფაქტობრივი მტკიცებულება;
- || წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (დერივატივები) (გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტებს);
- || თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკის მიერ აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საფუძველზე.

ბანკი აღიარებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას მოგების ან ზარალის საფუძველზე, თუ:

- || აქტივები და ვალდებულებები იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე;
- || აღიარების შედეგად სრულად აღმოიფხვრება ან არსებითად შემცირდება ბუღალტრული შეუსაბამობა, რომელიც წარმოიშობოდა სხვა შემთხვევაში;
- || აქტივი ან ვალდებულება მოიცავს მასში ჩაშენებულ დერივატივს, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ფულად ნაკადებს (რომლებიც სხვა შემთხვევაში მოთხოვილ იქნებოდა კონტრაქტის თანახმად).

ყველა წმინდა მოთხოვნა სავაჭრო დერივატივებზე ისევე, როგორც ოპციონების შესყიდვა, ასახულია აქტივებში. ყველა წმინდა სავაჭრო ვალდებულება (უარყოფითი სამართლიანი ღირებულება) ისევე, როგორც ოპციონების გაყიდვა, ასახება ვალდებულებებში.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული და განსაზღვრებადი დაფარვის გრაფიკი. მათი კოტირება არ ხდება ბაზარზე, გარდა ისეთი სესხებისა და მისაღებლებისა როგორებიცაა:

- ბანკი გეგმავს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში მათ რეალიზაციას;
- ბანკი, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, განსაზღვრავს მას სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის გათვალისწინებით;
- ბანკი, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღიარებს გასაყიდად ხელმისაწვდომად;
- ბანკმა შესაძლოა ვერ ამოიღოს ყველა თავდაპირველი ინვესტიცია, თუ ეს არ არის გამოწვეული საკრედიტო პოტენციალის შემცირებით.

ფასიანი საინვესტიციო ქაღალდები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრებადი დაფარვის გრაფიკით, ფიქსირებული ვადიანობით, რომლებიც, ბანკის პოზიტიური გეგმით ან შესაძლებლობით, შენარჩუნებულია ვადის დადგომამდე, გარდა შემდეგი ინვესტიციებისა:

- ბანკი, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის გათვალისწინებით;
- ბანკის განსაზღვრების თანახმად, ინვესტიცია წარმოადგენს გასაყიდად ხელმისაწვდომ ინვესტიციას;
- აკმაყოფილებს სესხებისა და მისაღებლების განსაზღვრებას.

გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივი წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომელიც გამოტანილია გასაყიდად ან მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით დადგენილი სამართლიანი ღირებულებით, არ არის კლასიფიცირებული როგორც სესხები და მისაღებლები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ან ფინანსური ინსტრუმენტები.

მმართველთა გუნდი აწარმოებს ფინანსური ინსტრუმენტების სათანადო კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს.

აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება საბალანსო უწყისში წარმოებს იმ მომენტიდან, როცა ბანკი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების სტანდარტული შემენა აღირიცხება საფასურის გადახდის დღეს.

შეფასება

ფინანსური აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით მოგებისა და ზარალის გათვალისწინების საფუძველზე, სამართლიან ღირებულებას ემატება საოპერაციო ხარჯი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შემენას ან ემისიას.

თავდაპირველი შეფასების შემდეგ ფინანსური აქტივები, იმ დერივატების (წარმოებულების) ჩათვლით, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით, საოპერაციო ხარჯების დაქვითვის გარეშე, რომლებიც შესაძლოა გაწეულ იქნას მათი გაყიდვის ან სხვაგვარად განკარგვის შემთხვევაში, გარდა შემდეგი ფინანსური აქტივებისა:

- სესხები და მისაღებლები, რომლებიც შეფასებულია ცვეთის დარიცხვით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით;
- საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია ცვეთის დარიცხვით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით;
- ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში, რომლებიც არ ხასიათდება განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით აქტიურ ბაზრებზე, რომელთა სამართლიანი ღირებულების საიმედოდ და ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია და ამდენად, დგინდება ხარჯის საფუძველზე.

ყველა ფინანსური ვალდებულება აღირიცხება ცვეთის დარიცხვით, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც გამოხატულია სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის გათვალისწინებით, აგრეთვე, იმ ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის ტრანსფერის დროს არ არის აუცილებელი აღიარების ანუღირება. ამორტიზაციის ხარჯის დათვლა წარმოებს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის მეთოდის საშუალებით. ფასნამატი და ფასდათმობა, თავდაპირველი საოპერაციო ხარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირებულია ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შეფასება წარმოებს საბაზრო დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე და შეფასების შედეგად დადგინდება, რომ სამართლიანი ღირებულება მეტია ან ნაკლებია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასებით დადგენილ სამართლიან ღირებულებაზე, ამგვარი მეტობა (მოგება) ან ნაკლებობა (ზარალი) ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღიარებას შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში. იმ შემთხვევაში, თუკი თავდაპირველი მოგება ან ზარალი არ არის შეფასებული მთლიანად საბაზრო დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, მოგება ან ზარალის აღიარება წარმოებს მოგვიანებით, აქტივის ან ვალდებულების სარგებლიანობის პერიოდის განმავლობაში, სათანადო მეთოდის საფუძველზე, ან მაშინ, როდესაც შესაძლო გახდება ანალოგიურ ფასებზე დაკვირვების წარმოება, ან როდესაც მოხდება ამგვარი აქტივის ან ვალდებულების განკარგვა.

სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება წარმოებს საბალანსო უწყისის მომზადების დღეს არსებული კვოტირებული საბაზრო ფასების მიხედვით, საოპერაციო ხარჯების დაქვითვის გარეშე. თუ კვოტირებული საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ფასდება ფასწარმოქმნის მოდელების ან დისკონტირებული ნაღდი ფულადი ნაკადის ტექნიკის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება დისკონტირებული ნაღდი ფულადი ნაკადის ტექნიკა, მომავალი პერიოდის ნაღდი ფულის ნაკადის შეფასება წარმოებს მმართველი რგოლის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, ხოლო დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საბალანსო უწყისის დღისათვის მოქმედ საბაზრო განაკვეთს ანალოგიური პირობების მქონე ინსტრუმენტისათვის. ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენებისას ხარჯების გამოთვლა წარმოებს საბალანსო უწყისის დღისათვის მოქმედი საბაზრო მაჩვენებლების საფუძველზე.

საბირჟო ბრუნვაში წარმოებული ინსტრუმენტის (დერივატივის) სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ თანხის მიხედვით, რომელსაც ბანკი მიიღებს ან გადაიხდის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, საბალანსო უწყისის დღეს არსებული საბაზრო პირობებისა და კონტრაგენტების გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით.

მოგება და ზარალი შედეგობრივი შეფასებით

მოგების ან ზარალის აღიარება, რომელიც გამოწვეულია ფინანსური აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური ინსტრუმენტის მოგება ან ზარალი, რომელიც კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საფუძველზე, აღიარებულ იქნება შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში;
- გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივის მოგების ან ზარალის აღიარება მოხდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, აქციონერთა კაპიტალის ცვლილების

შესახებ უწყისის საშუალებით (გარდა გაუფასურების ზარალისა და საკურო მოგებისა და ზარალისა), აღიარების ანულირებამდე. ასეთ შემთხვევაში აკუმულირებული მოგება ან ზარალი, რომელიც წინა პერიოდში აღიარებული იყო საკუთარ კაპიტალში, ნაჩვენები იქნება შემოსავლის უწყისში. გასაყიდად ხელმისაწვდომ აქტივებზე დარიცხული პროცენტი აღიარებულ იქნება, როგორც შემოსავალი შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში და დაითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის საშუალებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოგება ან ზარალი, რომლებიც ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით, აღიარებულ იქნება შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში მაშინ, როდესაც წარმოებს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების ანულირება ან გაუფასურება, აგრეთვე, ამორტიზაციის პროცესის განმავლობაში.

აღიარების ანულირება

ფინანსური აქტივის აღიარების ანულირება ხდება მაშინ, როდესაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფულად ნაკადებზე ფინანსური აქტივებიდან ან როდესაც ბანკი გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და პრივილეგიას. ამგვარი ტრანსფერის დროს წარმოქმნილი ნებისმიერი უფლება ან ვალდებულება აღიარებულ იქნება ცალკე, როგორც აქტივი ან ვალდებულება. ფინანსური ვალდებულების აღიარების ანულირებას ადგილი აქვს მისი შესრულების შემდეგ.

ბანკი აგრეთვე აწარმოებს გარკვეული აქტივების აღიარების ანულირებას, როდესაც იგი ჩამოწერს იმ ბალანსს, რომელიც უკავშირდება უიმედო აქტივებს.

შეთანხმებები გამოსყიდვისა და უკუგამოსყიდვის შესახებ

ფასიანი ქაღალდები, რომლებიც იყიდება გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულების („რეპო“) საფუძველზე, აღირიცხება, როგორც უზრუნველყოფილი დაფინანსების ტრანზაქციები; ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები კვლავ აღიარებულია საბალანსო უწყისში, ხოლო კონტრაგენტის ვალდებულება აღიარებულია, როგორც მისაღებელი რეპო ტრანზაქციიდან. სხვაობა გაყიდვისა და გამოსყიდვის ფასს შორის წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს და აღიარებულია შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში „რეპო“ ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით.

ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეძენილია ხელახალი გაყიდვის („უკურეპო“) ხელშეკრულების საფუძველზე, აღიარებულია, როგორც მისაღები თანხა „უკურეპო“ ტრანზაქციიდან; სხვაობა შეძენისა და ხელახალი გაყიდვის ფასს შორის წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს და აღიარებულია შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში „რეპო“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით.

თუ ხელახალი გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი აქტივები გაიყიდება მესამე მხარეზე, ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება აღიარებულია სავაჭრო ვალდებულების სახით და ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

ჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე, ბალანსში აღიარებული წმინდა თანხის ჩათვლა წარმოებს მაშინ, როდესაც კანონით მოითხოვება ბალანსში აღიარებული თანხების გადაფარვა ან არსებობს ვარაუდი, რომ დაფარვა განხორციელდება

ურთიერთგადაფარვის საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა განხორციელდება ერთდროულად.

ქონება, შენობები და მანქანა-დანადგარები (ძირითადი საშუალებები)

საკუთარი აქტივები

ქონების, შენობებისა და მანქანა-დანადგარების აღიარება ხდება თვითღირებულების საფუძველზე, მინუს დარიცხული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, გარდა შენობებისა, რომლებიც აღიარებულია გადაფასებული ღირებულებით.

როდესაც ქონება, შენობები და მანქანა-დანადგარები შედგება მსხვილი კომპონენტებისაგან, რომლებიც ხასიათდება ვარგისიანობის სხვადასხვა ვადით, მათი აღრიცხვა ხდება ქონების, შენობებისა და მანქანა-დანადგარების ცალკე ერთეულის სახით.

იჯარით გაცემული აქტივები

ოპერაციული იჯარა და იჯარით გაცემული აქტივები არ იქნება აღიარებული ბანკის საბალანსო უწყისში.

გადაფასება

ბანკის შენობები ექვემდებარება რეგულარულ გადაფასებას. გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადაფასებული შენობების სამართლიანი ღირებულების ცვლილებაზე. მიწაზე ან შენობაზე გადაფასების ზრდა უშუალოდ აისახება კაპიტალში, მაგრამ თუ გადაფასების ზრდა მთლიანად გადაფარავს წინა გადაფასების შემცირებას, რომელიც ასახულია შემოსავლის უწყისში, მაშინ გადაფასების ზრდაც აისახება შემოსავლის უწყისში. გადაფასების შემცირება მიწაზე ან შენობებზე უშუალოდ აისახება შემოსავლის უწყისში, მაგრამ თუ იგი სრულად გადაფარავს წინა გადაფასების ზრდას, რომელიც აღიარებულია კაპიტალში, მაშინ გადაფასების შემცირებაც აისახება კაპიტალში.

გადაფასების რეზერვი გადატანილ იქნება გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც აქტივი არის ამოღებული ან გასხვისებული.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა წარმოებს კონსოლიდირებული შემოსავლის უწყისში, თანაბარზომიერი გამოთვლის მეთოდის საფუძველზე, ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში. ცვეთის ათვლა იწყება შეძენის დღეს, ხოლო საწარმოს შიგნით აწყობილი საშუალებების შემთხვევაში – აქტივის აწყობის მომენტიდან, როგორც კი იგი მზად იქნება ექსპლოატაციისათვის. მიწას ცვეთა არ ერიცხება. იჯარით გაცემული ობიექტების რემონტის ცვეთა ირიცხება უმოკლესი – აქტივის სარგებლიანობის ან იჯარის – პერიოდისათვის.

შენობები	50 წელი
კომპიუტერები და საკომუნიკაციო დანადგარები	5 წელი
მოწყობილობა და ინვენტარი	5 წელი
მანქანები	5 წელი
იჯარით გაცემული ობიექტების რემონტი	2-3 წელი
სხვა	10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია ბანკის მიერ, აისახება თვითღირებულებით, მინუს დარიცხული ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია კაპიტალიზირდება შეძენისა და გამოყენებისთვის, ადაპტაციის ხარჯების საფუძველზე.

ცვეთის დარიცხვა წარმოებს შემოსავლის უწყისში თანაბარზომიერი გამოთვლის მეთოდის საფუძველზე, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში. სარგებლიანობის ვადა არის 10 წელი.

გაუფასურება

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივი

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები შედგება სესხებისაგან, სხვა მისაღებელი თანხებისა და არაქვოტირებული, გასაყიდად ხელმისაწვდომი სასესხო ფასიანი ქაღალდებისაგან („სესხები და მისაღებლები“). გაუფასურების დონის რეგულარულად დადგენის მიზნით, ბანკი გადახედავს სესხებსა და მისაღებებს. სესხი ან მისაღები თანხა გაუფასურდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე მიზეზის გამო გაუფასურების საიმედო მტკიცებულება. აღნიშნული მიზეზ(ებ)ი ვითარდება სესხების ან მისაღები თანხების თავდაპირველი აღიარების შედეგ და ზემოქმედებს სესხის შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა განსაზღვრაც საიმედოდაა შესაძლებელი.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, შესაძლოა იყოს მსესხებლის გაკოტრება (დეფოლტი), მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, საკრედიტო ხელშეკრულების ან პირობის დარღვევა, სესხის ან ავანსის რესტრუქტურისაცა ბანკის მიერ იმ პირობებით, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ბანკი არ განიხილავდა, მინიშნება მსესხებლის ან ემიტერის გაკოტრდებაზე, ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაუჩინარება, უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების შემცირება ან სხვა ხელმისაწვდომი მონაცემები, რომლებიც უკავშირდება აქტივების ჯგუფს, მაგალითად: ჯგუფში მსესხებელთა გადახდისუნარიანობის უარყოფითი ცვლილება, ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც შესაბამისად ზემოქმედებს ჯგუფის დეფოლტზე.

ბანკი უპირველესად აფასებს იმას, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად სესხებისა და მისაღები თანხებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად და კოლექტიურად სესხებისა და მისაღები თანხებისათვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. თუ ბანკი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მისაღებლების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ბანკი სესხს განათავსებს სესხებისა და მისაღებების იმ ჯგუფში, რომელიც ხასიათდება თანაბარი საკრედიტო რისკებით და კოლექტიურად შეაფასებს მათ გაუფასურების თვალსაზრისით. სესხები და მისაღებლები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც აღიარებულია გაუფასურების ზარალი, ან გრძელდება მისი აღიარება, არ დაექვემდებარება გაუფასურების კოლექტიურ შეფასებას.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სესხს ან მისაღებ თანხას დაერიცხა გაუფასურების ზარალი, ზარალის ოდენობა წარმოადგენს სესხის ან მისაღებლის საბალანსო ღირებულებისა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობას, გარანტიებისა და უზრუნველყოფის აღდგენითი ღირებულების ჩათვლით, რომელიც დისკონტირებულია სესხისა და მისაღებლის თავდაპირველ, ფაქტობრივ საპროცენტო განაკვეთამდე. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული ზარალი, კორექტირებული შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, რომელიც ასახავს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას, წარმოადგენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია სესხის ან მისაღებლების გაუფასურების ზარალის ოდენობის დასადგენად, შეზღუდულია ან აღარ შეესაბამება არსებულ გარემოებას. ასეთი სიტუაცია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მსესხებელი დგება ფინანსური პრობლემების წინაშე, ხოლო ისტორია ანალოგიური მსესხებლების შესახებ ძალზედ მჭირია. ასეთ შემთხვევაში, ბანკი იყენებს გამოცდილებას და მოსაზრებას გაუფასურების ზარალის ოდენობის დასადგენად.

სესხებსა და მისაღებლებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია შემოსავლის უწყისში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აღდგენითი ღირებულების შემდგომი ზრდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ.

სესხებსა და მისაღებლებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აღდგენითი ღირებულების შემდგომი ზრდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ.

მაშინ, როდესაც შეუძლებელია სესხის ამოღება, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. ბანკი ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და საკრედიტო ზარალთან დაკავშირებულ რეზერვებს), როდესაც ბანკის მენეჯმენტი მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივი

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შეიცავს არაქვოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც ჩართულია გასაყიდად ხელმისაწვდომ აქტივებში და არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია მათი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. თუ არსებობს ასეთი ინვესტიციების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, გაუფასურების ზარალი უდრის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებისა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელიც დისკონტირებულია ანალოგიური ფინანსური აქტივის უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით.

ასეთი ინვესტიციების გაუფასურების ზარალი აღიარებულია შემოსავლის უწყისში და დაუშვებელია მისი კორექტირება.

არაფინანსური აქტივები

სხვა სახის არაფინანსური აქტივები, გარდა გადავადებული გადასახადებისა, ფასდება ანგარიშგების თითოეულ დღეს, გაუფასურების ნებისმიერი მინიშნების თვალსაზრისით. არაფინანსური აქტივის აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდეს ღირებულებას სამართლიანი ღირებულებისა და სარეალიზაციო ხარჯების სხვაობის თანხასა და აქტივის გამოყენებით მიღებულ ღირებულებას შორის. გამოყენებით მიღებული ღირებულების შეფასების მიზნით, წარმოებს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე დაუბეგრავი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულებისა და აქტივთან დაკავშირებული რისკის მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

იმ აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომელიც არ უზრუნველყოფს ნაღდი ფულის ნაკადს სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად, გამოითვლება იმ ჯგუფისათვის, რომელსაც მიუკუთვნება აქტივი და რომელიც უზრუნველყოფს ნაღდი ფულის გენერირებას. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება და მისი ნაღდი ფულის გენერირების ჯგუფი აღემატება აღდგენით ღირებულებას.

ნებისმიერი გაუფასურების ზარალი, რომელიც უკავშირდება არაფინანსურ აქტივებს, აღიარებულია კონსოლიდირებულ შემოსავლის უწყისში და კორექტირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიცვლება შეფასება, რომელიც გამოიყენება აღდგენითი ღირებულების ოდენობის დასადგენად. გაუფასურების კორექტირებული ზარალი შეცვლილია იმის გათვალისწინებით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (ცვეთის ან ამორტიზაციის გარეშე), რომლის აღიარებაც მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარების გარეშე.

რეზერვები

რეზერვები აღიარებულია საბალანსო უწყისში, როდესაც ბანკს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის გამო და არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება ბანკიდან. თუ ზემოქმედება მატერიალურია, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაუბეგრავ განაკვეთამდე, რომელიც ასახავს ფულის დროებით ღირებულების და საჭიროებისამებრ, ვალდებულებისათვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო ანალიზს.

საკრედიტო ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს ბანკი იღებს საკრედიტო ვალდებულებებს: გამოუყენებელ კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები, აკრედიტივები და გარანტიები.

ფინანსური გარანტია წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც ბანკს ავალდებულებს კონკრეტული თანხის გადახდას გარანტიის მფლობელის ზარალის ასანაზღაურებლად, თუ კონკრეტული დებიტორი დროულად ვერ გადაიხდის საჭირო თანხას სასესხო ინსტრუმენტის შესაბამისად.

ფინანსური საგარანტიო ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, მასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების გარეშე და შემდეგ ეტაპზე უტოლდება უფრო მაღალ მაჩვენებელს: ან თავდაპირველად აღიარებული თანხისა და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობას, ან გარანტიის ფარგლებში ფიქსირებული ზარალის რეზერვის თანხას. ზარალის რეზერვი ფინანსური გარანტიის ფარგლებში და სხვა საკრედიტო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ცხადი ხდება ზარალის ალბათობა და შესაძლოა ზარალის საიმედოდ განსაზღვრა.

ფინანსური გარანტიის ვალდებულებები და სხვა საკრედიტო ვალდებულებების რეზერვები მიეკუთვნება სხვა ვალდებულებებს.

სააქციო კაპიტალი

დამატებითი კაპიტალი (სააქციო პრემია)

დამატებითი კაპიტალი (სააქციო პრემია) წარმოადგენს სხვაობას აქციის ნომინალურ ღირებულებასა და მასში გადახდილ თანხას შორის.

დივიდენდები

ბანკის პოტენციალი, განაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, რეგულირდება საქართველოს კანონდებლობის წესებითა და ნორმებით.

ჩვეულებრივი აქციის დივიდენდი აისახება მოგების გადანაწილების პუნქტში მათი განცხადების პერიოდისათვის.

დაბეგრა

საშემოსავლო გადასახადში შედის მიმდინარე და გადავადებული გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადის აღიარება წარმოებს შემოსავლის უწყისში, თუ იგი არ უკავშირდება საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებულ ერთეულებს – ასეთ შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი დასაბეგრ ქონებაზე წლის განმავლობაში, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საბალანსო უწყისის მომზადების დღეს, აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექცია.

გადავადებული გადასახადის დათვლა წარმოებს საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, იმ დროებითი სხვაობების უზრუნველყოფით, რომლებიც არსებობს საფინანსო ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის. იმ აქტივებისა და ვალდებულებების დროებითი ცვლილებები თავდაპირველი პერიოდისათვის, რომლებიც არ ზემოქმედებს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე, არ იქნება გათვალისწინებული. მოცემული გადავადებული გადასახადის თანხა დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ან დაფარვის მოსალოდნელ წესზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საბალანსო უწყისის მომზადების დღეს.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის უტილიზირება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულ იქნება შემოსავლის უწყისში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები წარმოადგენს სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს. ისინი, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ამორტიზდება საპროცენტო შემოსავლის მიმართ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით.

სხვა შემოსულობანი, საკომისიოები, შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მაშინ, როდესაც დასრულდება შესაბამისი მომსახურება.

ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

მთელი რიგი სტანდარტები, აგრეთვე, ცვლილებები სტანდარტებსა და ახსნა-განმარტებებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამდენად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. მათგან ბანკის საქმიანობაზე პოტენციურად ზეგავლენას მოახდენდა ჩამონათვალში მოცემული სტანდარტები. ბანკი დანერგავს აღნიშნულ სტანდარტებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ბანკს ჯერ კიდევ არ გაუანალიზებია აღნიშნული ახალი სტანდარტების სავარაუდო ზეგავლენა საბანკო ფინანსურ ოპერაციებზე.

- **სბს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა** (განახლებული), რომელიც მოქმედებს წლიური ანგარიშგებისთვის 2009 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგი პერიოდისათვის; სტანდარტი არეგულირებს საწარმოს მიერ საკუთარ კაპიტალში დაფიქსირებული ცვლილებების წარმოდგენას, რომელიც არ არის განპირობებული მეწარმეთა გარიგებებით, აგრეთვე, საკუთარ კაპიტალში გატარებული ცვლილებების წარმოდგენას ფინანსურ უწყისებში; გარდა ამისა, სტანდარტი განსაზღვრავს სხვა კონკრეტულ მოთხოვნებს ფინანსურ ანგარიშგებში ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით.
- **სბს 39-ის დამატებები ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება** – *ჰეჯირებისათვის განკუთვნილი ერთეულები*, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2009 წლის 1 ივლისიდან ან შემდეგ პერიოდში. სტანდარტი უზრუნველყოფს გამოყენების დამატებით ინსტრუქციას, რომლის თანახმადაც, განისაზღვრება ფულადი ნაკადების ან ჰეჯირებული ერთეულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება კონკრეტული ფასის ან ცვლადი მაჩვენებლის ზემოთ ან ქვემოთ.
- **სბს 18-ის (შემოსავლები) დამატებები**, რომელიც მოქმედებს წლიური ანგარიშგებისათვის 2009 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ; იგი უზრუნველყოფს ინსტრუქციას საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება ფინანსური აქტივის წარმოშობას და შეესაბამება სბს 39-ით ფორმულირებული საოპერაციო ხარჯების დეფინიციას.

4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	11,966	10,004
დაბანდებები ბანკებსა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებში	239	347
სხვა საპროცენტო შემოსავალი	72	38
	12,277	10,389
საპროცენტო ხარჯები		
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	3,339	3,659
დეპოზიტები და ნაშთები ბანკებსა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან	2,075	228
	5,414	3,887

5. საკომისიო შემოსავალი

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
საკომისიოები პლასტიკურ ბარათებზე	1,369	915
გარანტიისა და აკრედიტივის საკომისიო	698	626
ანგარიშსწორების საკომისიო	365	557
ანგარიშის მომსახურება და სალაროს ოპერაციები	496	512
სხვა	936	500
	3,864	3,110

6. საკომისიო ხარჯი

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
პლასტიკური ბარათის სისტემის საკომისიო	873	405
ანგარიშსწორების საკომისიო	192	147
სხვა	140	158
	1,205	710

7. წმინდა შემოსავალი კონვერტაციიდან

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
მოგება სპოტ ტრანზაქციებზე	1,708	1,667
ფინანსური აქტივებისა და პასივების გადაფასებით გამოწვეული ზარალი	111	(35)
	1,819	1,632

8. სხვა შემოსავალი / (ზარჯი)

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
მიღებული ჯარიმა/საურავები	430	356
გადახდილი ჯარიმა/საურავები	(82)	(12)
ვალის გადაუხდელობის გამო ამოღებული აქტივების გაყიდვით მიღებული მოგება/ (ზარალი)	(101)	275

9. გაუფასურება (ზარალი) / ამოღებული სესხები

	2008 GEL'000	2007 GEL'000
კლიენტებზე გაცემული სესხები	(4,125)	65
სხვა აქტივები	(533)	62
	(4,658)	127

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
თანამშრომლის ხელფასი	3,585	2,166
სახელფასო გადასახადი	1,195	817
ცვეთა და ამორტიზაცია	1,016	786
რეკლამა და მარკეტინგი	761	499
იჯარა	630	491
უსაფრთხოება	539	415
პროფესიული მომსახურება	331	199
საოფისე მასალები	186	110
შეკეთება და მომსახურება	158	207
კომუნიკაციები და საინფორმაციო მომსახურება	148	303
გადასახადები, საშემოსავლოს გარდა	112	63

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
მგზავრობა და ტრენინგი	70	81
სხვა	438	491
	9,169	6,628

11. საშემოსავლო გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
მიმდინარე სარგებელი / (ხარჯები) გადასახადებზე		
მიმდინარე წელი	-	(764)
წინა წლებში გაწეული	100	(34)
	100	(798)
გადავადებული საგადასახადო სარგებელი / (ხარჯი)		
მიმდინარე სხვაობის წარმოშობა და კორექტირება	311	(170)
საგადასახადო ტარიფების ცვლილება	-	85
	311	(85)
სულ საშემოსავლო გადასახადების სარგებელი / (ხარჯი) შემოსავლის უწყისში	411	(883)

ბანკში მოქმედი მოგების გადასახადის ტარიფი ამჟამად შეადგენს 15% (2007: 15%).

ფაქტობრივი საგადასახადო განაკვეთის რეკონსილაცია (შესაბამისობაში მოყვანა)

	2008 ლარი'000	%	2007 ლარი'000	%
შემოსავალი დაბეგრამდე	(2,365)		4,647	
საშემოსავლო გადასახადი მოქმედი საგადასახადო ტარიფებით	(355)	15%	929	20%
საგადასახადო ტარიფების ცვლილება	-	-	(85)	(2%)
წინა წლებში გაწეული	(100)	4%	34	1%
გამოუქვითავი ხარჯები	44	(2%)	5	0%
	(401)	17%	883	19%

12. მისაღებლები საქართველოს ეროვნული ბანკიდან:

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
ნოსტრო ანგარიშები	3,216	12,719
მინიმალური სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი	1,295	4,541
	4,511	17,260

მინიმალური სარეზერვო დეპოზიტის განაღდება შეზღუდულია.

მინიმალური სარეზერვო დეპოზიტი წარმოადგენს სავალდებულო დეპოზიტს უცხოურ ვალუტაში, რომელსაც ერიცხება პროცენტი და გამოითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებების მიხედვით. აღნიშნული დეპოზიტის განაღდება შეზღუდულია. ნოსტრო ანგარიშები გვიჩვენებს ბალანსს ეროვნულ ბანკთან, რომლებიც უკავშირდება ანგარიშსწორების ოპერაციებს და მისი განაღდება შესაძლებელია წლის ბოლოს. ლარში განთავსებული დეპოზიტის განაღდება არ არის შეზღუდული, თუმცა, ბანკს ერიცხება ჯარიმა, თუ საშუალო სავალდებულო ბალანსი არ შენარჩუნდება 14 დღის განმავლობაში.

13. დაბანდებანი ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებში

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
<i>არც გაუფასურებული, არც ვადაგადაცილებული</i>		
ნოსტრო ანგარიშები		
OECD ბანკები	9,749	1,318
სხვა უცხოური ბანკები	170	146
10 უმსხვილესი ქართული ბანკი	30	1,748
ნოსტრო ანგარიშები სულ	9,949	3,212
დეპოზიტები და სხვა ავანსები ბანკებში		
OECD ბანკები	293	611
სხვა უცხოური ბანკები	-	-
10 უმსხვილესი ქართული ბანკი	3,000	2,095
დეპოზიტები და სხვა ავანსები ბანკებში, სულ	3,293	2,706
	13,242	5,918

უზრუნველყოფა

2008 წლისა და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ბანკებში განთავსებული დაბანდებანი არ არის უზრუნველყოფილი.

კაპიტალდაბანდებათა კონცენტრაცია ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებში

2008 წლისა და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალდაბანდებათა, შესაბამისად 2 და 3 ბანკში 10%-ით გადააჭარბა სხვა ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებში კაპიტალდაბანდებას. აღნიშნული ბალანსების დაუბეგრავი ღირებულება 2007 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად შეადგენდა 11,321 ათას ლარსა და 4,997 ათას ლარს.

14. კლიენტებზე გაცემული სესხები

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
კორპორატიული სესხები	31,992	34,674
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	11,713	12,475
საკრედიტო ბარათები	9,915	5,999
ავტო-კრედიტები	1,285	855
სხვა სამომხმარებლო სესხები	13,907	10,252
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები სულ	36,820	29,581
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	68,812	64,255
სესხების დანაკარგების რეზერვი	(5,281)	(1,779)
მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხები	63,531	62,476

სესხების დანაკარგების რეზერვის ცვლილება 2008 წ. 31 დეკემბრისთვის შეადგენდა:

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
წლის დასაწყისში არსებული ნაშთი	1,779	2,133
წმინდა გადასახადი/(ამოღება) აღნიშნულ წელს (შენიშვნა 9)	4,125	(65)
ჩამოწერილი თანხები - წმინდა	(623)	(289)
ნაშთი წლის ბოლოს	5,281	1,779

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარეზერვებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 205 ათას ლარს.

კორპორაციული საკრედიტო პორტფელის ხარისხი

ცხრილი ასახავს კორპორაციული საკრედიტო პორტფელის ხარისხს 2008 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	სულ სესხები ათასი ლარი	სულ სესხები ათასი ლარი	ნეტო სესხები ათასი ლარი	რეზერვი სესხების მოლიანი ოდენობის მიმართ %
სესხები, რომლებზეც არ დადგენილა დარეზერვება:				
- არა ვადაგადაცილებული	23,727	(949)	22,778	4.0%
- დაკვირვების სიაში განთავსებული	1,139	(46)	1,093	4.0%
დარეზერვებული სესხები:				
- 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	3,503	(504)	2,999	14.4%
- 90 დღეზე მეტად და 1 წელზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	3,623	(1,503)	2,120	41.5%
სულ კორპორაციული სესხები	31,992	(3,002)	28,990	9.4%

ცხრილი ასახავს კორპორაციული საკრედიტო პორტფელის ხარისხს 2007 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	სულ სესხები ათასი ლარი	დანაკარგი ათასი ლარი	ნეტო სესხები ათასი ლარი	რეზერვი სესხების მოლიანი ოდენობის მიმართ %
სესხები, რომლებზეც არ იქნა დადგენილი დანაკარგები:				
- არა ვადაგადაცილებული	34,426	(632)	33,794	1.8%
დარეზერვებული ვალები:				
- 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	58			
- 90 დღეზე მეტად, მაგრამ 1 წელზე ნაკლებად ვადაგადაცილებული		(1)	57	1.7%
- 1 წელზე მეტად ვადაგადაცილებული	190	(4)	186	2.1%
სულ კორპორაციული სესხები	34,674	(637)	34,037	1.8%

ბანკმა შეაფასა დანაკარგების რეზერვი კორპორაციულ სესხებზე მომავალი ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე. რეზერვის ოდენობა წარმოადგენს სესხის საბალანსო ღირებულებისა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობას, გარანტიებისა და უზრუნველყოფის აღდგენითი ღირებულების ჩათვლით, რომელიც დისკონტირებულია სესხისა და მისაღებლის თავდაპირველ, ფაქტობრივ საპროცენტო განაკვეთამდე.

ის კორპორაციული სესხები, რომელთათვისაც არ არსებობს დანაკარგების ალბათობა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ შეტანილია კრედიტების იმ ჯგუფში, რომლებიც ხასიათდება ანალოგიური საკრედიტო რისკით და კოლექტიურად მომხდარია მათი დარეზერვება 2%-დ (2007: 2%). ამ სესხებზე დანაკარგების რეზერვი შექმნილია ბანკისა და საქართველოში მოქმედი სხვა ბანკების მოსალოდნელი ზარალის განაკვეთზე დაყრდნობით.

შეფასების ცვლილება ზემოქმედებს სესხების დანაკარგების რეზერვზე, მაგალითად, თუ შეფასებული ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება განსხვავდება ერთი პროცენტით, სესხის დანაკარგების რეზერვი კორპორაციული სესხებისათვის 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება 300 ათასი ლარით ნაკლები / მეტი.

2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, ბანკის მიერ მიღწეულ იქნა ხელახალი შეთანხმება რამდენიმე კომერციული სესხის შესახებ, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, იქნებოდა აღიარებული, როგორც დავალიანება, ან გაუფასურებული სესხი. რესტრუქტურისაციის მიზანი მომხმარებელთან ურთიერთობის შენარჩუნება და სესხის ამოღების შესაძლებლობების მაქსიმალური უზრუნველყოფაა.

დანაკარგების რეზერვის ცვლილების ანალიზი

ცხრილში მოცემულია კორპორაციული სესხების დანაკარგების რეზერვის მოძრაობის ანალიზი 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2008 ლარი'000	2007 ლარი'000
სესხების დანაკარგების რეზერვი 1 იანვრისთვის	637	739
წლის განმავლობაში ამოღებული /(ჩამოწერილი) სესხები	14	(145)
სესხების გაუფასურებით მიღებული დანაკარგები წლის განმავლობაში	2,351	43
სესხების დანაკარგების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	3,002	637

უზრუნველყოფის ანალიზი

ცხრილში მოცემულია კორპორაციული საკრედიტო პორტფელის, წმინდა დარეზერვების ანალიზი უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით, 2007 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2008	საკრედიტო პორტფელის %	2007	საკრედიტო პორტფელის %
უმრავი ქონება	24,113	83%	24,402	72%
მესამე მხარის გარანტიები	3,049	11%	5,056	15%
ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები	289	1%	2,534	7%
მარაგები	280	1%	877	3%
ნაღდი ფული	55	0%	44	0%
უზრუნველყოფის გარეშე	590	2%	1,124	3%
სხვა	614	2%	-	-
სულ	28,990	100%	34,037	100%

ცხრილში მოცემული თანხა წარმოადგენს სესხის საბალანსო ღირებულებას და არა უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას.

